ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20-126

2022 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 19.07.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 4250 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 950 ლარისა, თანახმად ფორმა №1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1100 ლარისა, თანახმად ფორმა №2-ისა;

გ) დარჩენილი 1100 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.“.

2. რეგლამენტის 15^6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა შემდეგი ოდენობის თანხები:

ა) სამგორის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი;

ბ) ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი;

გ) გლდანის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი;

დ) საბურთალოს რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

ე) ისნის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

ვ) ვაკის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 11 500 (თერთმეტიათას ხუთასი) ლარი;

ზ) დიდუბის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 11 500 (თერთმეტიათას ხუთასი) ლარი;

თ) მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 7 500 (შვიდიათას ხუთასი) ლარი;

ი) კრწანისის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 7 500 (შვიდიათას ხუთასი) ლარი;

კ) ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 7 500 (შვიდიათას ხუთასი) ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**